

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ისტორია

საგამომცემლო საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მისი დაარსებისთანავე. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილი იყო. 1918 წელს შეიქმნა საგამომცემლო კომისია აკაკი შანიძის თავმჯდომარეობით. მას აქტიურად ეხმარებოდა სიმონ ყაუხჩიშვილი. საგამომცემლო კომისიას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერები: **კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ანდრია რაზმაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი** და სხვები. პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით უკვე 1919 წელს გამოვიდა. ეს იყო ლევან ყანჩაველის დამხმარე **სახელმძღვანელო ბოტანიკაში**. 1919 წელს დაისტამბა „**ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის**“ პირველი ტომი სამ ნაკვეთად.

1920 წლიდან დაიწყო თბილისის **უნივერსიტეტის „შრომების“** გამოცემა.

1923 წლის მაისში გაიხსნა სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტს ორი საბეჭდი მანქანა და სამი ლითოგრაფიული ქვა გადაეცა სამი საშტატო ერთეულით. საუნივერსიტეტო სტამბის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა **შალვა ნუცუბიძემ**, რომელიც იმხანად უნივერსიტეტის პრორექტორი იყო სამეცნიერო მუშაობის დარგში.

1933 წლის 4 მაისს დაარსდა უნივერსიტეტის გამომცემლობა, სადაც სულ ოთხი ადამიანი მუშაობდა: პასუხისმგებელი მდივანი (დირექტორი), ტექნიკური მდივანი, ბუღალტერი და საწყობის გამგე. პირველ პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა **ევგენი ნულაძე**, რომელსაც დაევალა გამომცემლობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. 1933 წლის 29 მაისს შეიქმნა საგამომცემლო საბჭო თსუ-ის რექტორის, პროფ. **ლევან აღნიაშვილის** (დახვრიტეს 1937 წელს) მეთაურობით. დაარსების წელს გამომცემლობამ მხოლოდ სამი წიგნის დასტამბვა მოახერხა, თუმცა შემდგომ წლებში პროდუქტიულობა საგრძნობლად გაიზარდა.

თსუ-ის გამომცემლობის მომდევნო დირექტორები იყვნენ **გრ. თოდუა, ალ. გაბესკირია**. 1941 წელს გამოიცა ისეთი მაღალი სამეცნიერო ღირებულების ნაშრომები, როგორებიცაა: ვახუშტი ბატონიშვილის **„საქართველოს გეოგრაფია“**, კორნელი კეკელიძის **„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“** პირველი ტომი, მოსე გოგიბერიძის **„ფილოსოფიის ისტორია“** და ა.შ.

1963 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობა ლიკვიდირებულ იქნა რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, დარჩა მხოლოდ სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1965 წლის ოქტომბრამდე, როდესაც აღდგა უნივერსიტეტის გამომცემლობა. მის დირექტორად დაინიშნა **ვალერიან გამყრელიძე**.

ვ. გამყრელიძის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომების გამოცემა, როგორებიცაა: **კოტე ბაქრაძის ათტომეული** (ექვსი ტომი ქართულად, ოთხი ტომი რუსულად), **სერგი დანელიას ოთხტომეული**, **ივანე ჯავახიშვილის „თხზულებანი“**, **აკაკი შანიძის მრავალტომეული** და სხვ.

1991 წელს ვალერიან გამყრელიძის ადგილი დაიკავა **ნიკო ბერძენიშვილმა**. მისი დირექტორობის დროს გაგრძელდა „უნივერსიტეტის შრომების“, სახელმძღვანელოებისა და საცნობარო ლიტერატურის გამოცემა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ქართული დიპლომატია“, „ნელინდეულის“ თორმეტი ტომი, „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეული, „ქართული დიპლომატიური ლექსიკონის“ ორტომეული და „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

2006 წლის 1 აპრილიდან უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, გამომცემლობა გაუქმდა, 2006 წლის ოქტომბრიდან კი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეულად. ამ დროიდან 2008 წლის აპრილამდე თსუ-ის გამომცემლობის დირექტორი იყო **ნუგზარ ნიკლაური**.

2008 წლის აპრილიდან თსუ-ის გამომცემლობის დირექტორი გახდა **თამარ ებრაელიძე**. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემებია: **ივირონის აქტები** ოთხ ტომად, მერაბ ჩუხუას „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, მიხაკო წერეთლის „გილგამეშიანი“, ლევან ალექსიძის „საერთაშორისო სამართალი და საქართველო“, პიერ პაკტესა და ფერდინანდ მელენ-სუკრამანიანის „კონსტიტუციური სამართალი“, თამაზ გამყრელიძის „თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლები“, ფილიპ ზიმბარდოსა და რიჩარდ გერიგის „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, თეიმურაზ ლეჟავას „ადამიანის გენეტიკა“, ქართულ-რუსული ლექსიკონი და სხვ.

ბოლო წლებში გამომცემლობა ნაყოფიერად თანამშრომლობს უცხოურ გამომცემლობებთან ფაკულტეტების მიერ მოთხოვნილი წიგნების თარგმნისა და გამოცემის უფლების მოსაპოვებლად. სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა

- **თიმენი, პალადინო – ბიოტექნოლოგიის შესავალი**
- **ა. კუერი, ბ. კიური, პ. ჟაკი, ჟ. პერი – ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა**
- **ფენეისი, დობერი – ანატომიის ჯიბის ატლასი**
- **უეილი – ეკონომიკური ზრდა**
- **ანეტ კური, ტომას დრეიერი – ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი**
- **ჯეფრი მ. ვულდრიჯი – შესავალი ეკონომეტრიკაში**
- **ვოლენის – ფარმაცოლოგია (ლიპინკოტის ილუსტრირებული გამოცემა)**
- **რობინსი, კოულტერი – მენეჯმენტი**
- **შირიაევი – ალბათობა I**
- **პიტერ ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი – როგორ დავწეროთ ისტორია**
- **კიტი, იანგი, ერფლი – მენეჯერული ეკონომიკა**
- **გიუნტერ ფალტინი – გონება ამარცხებს კაპიტალს**
- **უილიამ ქილორი – მეოცე საუკუნის მსოფლიოს ისტორია 1900 წლიდან**
- **კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი – საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა**
- **დეივ დოქერტი, მაიკლ ალენი, ლერი შვაიკარტი – პატრიოტთა ისტორიის მასალები**
- **ფრედ დევიდი, ფორესტ დევიდი – სტრატეგიული მენეჯმენტი**
- **ტედ ლეველინი – პოლიტიკური ანთროპოლოგია**
- **მაიკლ დოილი – ომისა და მშვიდობის გზები და სხვ.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) 100 წლის იუბილესთვის მომზადდა და დაისტამბა:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) კულტურის ქრონიკები
- ნოე რამიშვილი
- ნოე ჟორდანიას
- ვლადიმერ ვოიტინსკის „ქართული დემოკრატია“
- კარლ კაუცკის „საქართველოს გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“ – სამენოვანი (ქართულ-ინგლისურ-გერმანული) გამოცემა

თსუ გამომცემლობა, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან ასოცირებულ სამეცნიერო ინსტიტუტებთან. მათ შორის: ენათმეცნიერების, გეოგრაფიის, ლიტერატურის, ეკონომიკის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტებთან... გამოსცემს მათ მიერ მომზადებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, საკონფერენციო მასალებსა და სხვა სახის ნაშრომებს.

წარმატებით მონაწილეობს წიგნის საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენებში. მათ შორის, 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც საქართველო მასპინძლის სტატუსით იყო წარდგენილი, გამომცემლობის მიერ მომზადებული 50-ზე მეტი სამეცნიერო წიგნი, თარგმანი და სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი იყო წარდგენილი, მათ შორის: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ და „გილგამეშის“ მიხაკო წერეთლისეული გერმანული თარგმანები, აკაკი წერეთლის „სულიკო“ – კრებული მსოფლიოს ხალხთა ენებზე (27 ენაზე)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზანი კვლავაც რჩება უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის ხელშეწყობა.